შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი

თბილისი

2018 წ.

მუხლი 1

შპს ავიცენას საზოგადოებრივ კოლეჯში (შემდგომში დაწესებულება) სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა. დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ. PDCA მიდგომას:



P – Plan - დაგეგმე;
D – Do - განახორციელე;
C – Check - შეამოწმე;
A – Act - განავითარე .

P – Plan - დაგეგმე- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლების მიხევითაც განისაზღვრება მოკლე და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივები და მათი მიღწევის გზები;

D – Do - განახორციელე- აღწერს იმ პროცესებსა და ქვე-პროცესებს, რომელიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევისთვის განისაზღვრა;

C – Check - შეამოწმე - ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ სამუშაოს, სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს;

A – Act - განავითარე - მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე სახავს არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზებს, ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ საქმიანობაში და ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

მოცემული მიდგომის თანახმად ერთი ფაზის დასრულება ნიშნავს მეორე ფაზის დაწყებას და ა.შ.
ხარისხის უწყვეტი სრულყოფის მექანიზმების დანერგვა და განხორციელება ხელს უწყობს სწავლების განხორციელების მიმდინარე ეტაპის მონიტორინგსა და შემდეგ ეტაპზე სწავლების ხარისხის ამაღლების სტრატეგიის განსაზღვრას.

მუხლი 2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას შეიმუშავებს და შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატური სრულყოფისათვის (შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს: პროფესიული სტუდენტის კითხვარის; პროფესიული მასწავლებლისათვის კითხვარის; კურსდამთავრებულის გამოკითხვის; დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარის ფორმებს), ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების პროფესიული დონის მუდმივ ზრდაზე, უზრუნველყოფს

სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვასა და განვითარებას, პროფესიული სტუდენტების დამატებითი სერვისების, საბიბლიოთეკო, მატერიალური რესურსების და ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურების ეფექტურობის ხარისხის ამაღლებას.

მუხლი 3

დაწესებულებაში სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფის მიზნით, საჭიროა აღნიშნულ პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელაბა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი/წარმომადგენლები და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანია: სასწავლო პროცესზე დასწრება, კითხვარების შეგროვება და ანალიზი, გარე მხარდაჭერის ჯგუფისთვის ანგარიშის მომზადება. პროფესიულის საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დაწესებულების დირექტორს, რის შემდგომაც ხორციელდება აღნიშნული შედეგების და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის რეკომენდაციების განხილვა და შესაბამისი მოხსენების მომზადება. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული თითოეული აქტივობა ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი მოქმედებს წინამდებარე დებულების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, დაწესებულების შინაგანაწესისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად და პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე.

მუხლი 4

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით მოწმდება:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- ✓ სასწავლო გარემო;
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- ✓ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების სრულყოფისათვის დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება პროფესიული სტუდენტის, პროფესიული მასწავლებლის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. აღნიშნული პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია დაწესებულების პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების სრული ჩართულობა.

მუხლი 5

დაწესებულების მისიასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გამოიყენება პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შემოწმების შემდეგი ფორმები:

✓ **პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასება;**

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, აგრეთვე შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრებისა და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კითხვარის მეშვეობით პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის გზით მოწმდება პროფესიული მასწავლებლის საქმიანობა, რომლის შედეგიც აისახება შესაბამის ოქმში, ხოლო მოდულის დასრულებისას კეთდება ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები წარედგინება პროფესიულ მასწავლებელს.

✓ **კონკრეტული მოდულის შეფასება პროფესიული მასწავლებლის მიერ;**

პროფესიული მასწავლებლის მიერ ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ ხორციელდება აღნიშნული მოდულის განხორციელების შეფასება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კითხვარის მეშვეობით. პროფესიული მასწავლებლის მიერ შევსებული კითხვარის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახდენს მოდულის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებასა და დაწესებულების შიდა მხარდაჭერის ჯგუფისათვის წარდგენას, რომელიც თავისმხრივ აღნიშნულს წარუდგენს გარე მხარდაჭერის ჯგუფს. ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი მოდულის მოდიფიცირება დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

✓ **პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა**

პროფესიულ სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- მოდულის შეფასება;
- პროფესიული მასწავლებლისა და სასწავლო პროცესის შეფასება;
- რესურსებისა და სასწავლო გარემოს შეფასება.

პროფესიულ სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კითხვარების მეშვეობით, კერძოდ, თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები ავსებენ კითხვარებს, რომელთა ანონიმურობა დაცულია.

✓ **კურსდამთავრებულების გამოკითხვა:**

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს კურსდამთავრებულების გამოკითხვას, რომლის მიზანიაა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და აღნიშნულის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა.

✓ **კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის განსაზღვრა და მისი ანალიზი:**
დაწესებულება ყოველწლიურად აწარმოებს თავისი კურსდამთავრებულების დასაქმების აღრიცხვას, რომლის საფუძველზეც განსაზღვრავს დასაქმების სტატისტიკას. აღნიშნული სტატისტიკის ანალიზის განხილვა ხორციელდება დაწესებულების შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და დირექტორის მიერ.

✓ **დამსაქმებლების გამოკითხვა**
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს დამსაქმებელთა გამოკითხვას, რომლის მიზანიაა განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება პროფესიული სტუდენტის მიერ გამომუშავებული პროფესიული უნარები დასაქმების სფეროს, საჭიროებენ თუ არა პროფესიული სტუდენტები დამატებითი სტაჟირების გავლას, რამდენად შესაბამისობაში კურსდამთავრებულთა კომპეტენცია დამსაქმებელი დაწესებულებების/ორგანიზაციების შესაბამისი პოზიციების მოთხოვნებთან, რამდენად საკმარისია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხანგრძლივობა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი აღნიშნული გამოკითხვის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 6
დაწესებულებაში გარკვეული პერიოდულობით (პერიოდულობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ) იგეგმება შეხვედრები პროფესიული მასწავლებლებთან. აღნიშნულ შეხვედრათა მიზანია პროფესიულ მასწავლებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში და მათ შემდგომ განვითარებაში.

მუხლი 7
ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ შიდა მხარდაჭერის ჯგუფი განიხილავს მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელსაც წარუდგენს დაწესებულების დირექტორს.

მუხლი 8
1.წინამდებარე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესს ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი.
2.წინამდებარე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში ცვლილებები და/ან დამატებები ხორცილდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

- **დანართი 1** - შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე და შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრების შედეგების ამსახველი ოქმი.
- **დანართი 2** - პროფესიული სტუდენტის კითხვარი;

- **დანართი 3** -პროფესიული მასწავლებლისათვის კითხვარი;

- **დანართი 4 -** კურსდამთავრებულის გამოკითხვის ფორმა;
- **დანართი 5-** დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი.

დანართები წარმოადგენენ წინამდებარე წესის განუყოფელ ნაწილს.

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე და შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრების შედეგების ამსახველი

ოქმი#

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:_____

მოდულის დასახელება:_____

პროფესიული მასწავლებლის სახელი, გვარი:_____

☐ თეორიული მეცადინეობა

☐ პრაქტიკული მეცადინეობა

☐ შეფასება

1 განსახილველი თემა შესაბამისობაშია კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ თემატიკასთან

☐ დიახ ☐ არა

2 პროფესიული მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია კალენდარულ გეგმასთან და მოდულთან

☐ დიახ ☐ არა

3 გამოყენებული სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია კალენდარულ გეგმასთან და მოდულთან

☐ დიახ ☐ არა

4 პროცესი მიმდინარეობს სტუდენტთა აქტიური ჩართულობით

☐ დიახ ☐ არა

5 სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი საათები საკმარისია

☐ დიახ ☐ არა

რეკომენდაცია:_____

_____

_____

_____

_____

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები:

1._____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

2. _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

3. _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

4. _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

5. _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

თარიღი:_____

(რიცხვი, თვე, წელი)

პროფესიული სტუდენტის კითხვარი

მოდულის დასახელება	
მოდულის მასწავლებელი	

გთხოვთ X-ით აღნიშნოთ თქვენთვის მისაღები პასუხი. საჭიროების შემთხვევაში გააკეთეთ კომენტარი/რეკომენდაცია.

№	კითხვები	დიახ	ნაწილ ობრივ	არა	კომენტარი /რეკომენდაცია.
1. მომზადება					
1.	სასწავლებელმა მომაწოდა ინფორმაცია მოდულური სწავლების შესახებ				
2.	გავეცანი მოდულის სწავლის შედეგებს				
3.	გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს				
4.	გამაცნეს, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში				
5.	ვფიქრობ, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში				
6.	ვიცნობ მთლიანობაში მოდულურ სასწავლო პროგრამას და შესაბამის სასწავლო გეგმას				

2. სასწავლო პროცესი					
7.	მასწავლებელი/მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას				
8.	სწავლის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას				
9.	მასწავლებელი სისტემტურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით				
10.	სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს				
11.	მოდულზე გათვალისწიმებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად?				
3. რესურსები და სასწავლო გარემო					
12.	შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები,ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას.				
13.	სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) ჩემთვის ხელმისაწვდომია				
14.	სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) - არ გვაქვს პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით				
15.	სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი				
16.	**გაგაჩნიათ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება? (შემოხაზეთ „დიახ“ ან „არა“)**				**დიახ“ შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ:**
კომენტარი:					

გთხოვთ გახაზოთ ქვემოთ მოცემულ პასუხებიდან ერთ-ერთი:
ა) ყველა მეცადინეობას დავესწარი ბ) მაქვს უმნიშვნელო გაცდენები გ) თითქმის ნახევარს ვაცდენ დ) უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებ დასწრებას

კითხვარის შევსების თარიღი:

პროფესიული მასწავლებლისათვის კითხვარი

პროგრამის დასახელება	
მოდულის დასახელება	
კრედიტების რაოდენობა	
მასწავლებლის სახელი და გვარი , საკონტაქტო ინფორმაცია	

N	კითხვები	დიახ	ნაწილობრივ	არა	შენიშვნები/ რეკომენდაციები
1.	იცნობთ თუ არა სრულად აღნიშნულ მოდულურ პროგრამას?				
2.	გაქვთ თუ არა თქვენი მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება?				
3.	პირადად მონაწილეობდით თუ არა სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში?				
4.	პირადად მონაწილეობდით თუ არა კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში?				
5.	მოახდინეთ თუ არა სასწავლო გეგმის ადაპტირება შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისთვის?				
6.	მისაღებია თუ არა მოდულის სტრუქტურა?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები მოდულის სტრუქტურასთან დაკავშირებით:*
7.	გასაგებია თუ არა მოდულის შინაარსი?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, დააკონკრეტეთ, წარმოადგილეთ თქვენი რეკომენდაციები*
8.	საჭიროებს თუ არა მოდულის ნაწილები დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?				*„ნაწილობრივ“ ან „დიახ“ პასუხის შემთვვევაში, დააფიქსირეთ მოდულის რომელი ნაწილი საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?*
9.	თქვენის აზრით, სწორადა არის განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები?				*თქვენი რეკომენდაციები მოდულის გავლის წინაპირობებთან დაკავშირებით.*
10.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
11.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები შეფასების დაგეგმვისას?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
12.	შეესაბამება თუ არა რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*

13.	რამდენად შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
14.	რამდენად შეესაბამება მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
15.	რამდენად შეესაბამება რეკომენდებული შეფასების ინსტრუმენტები დასადასტურებელ შესრულების კრიტერიუმებს?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
16.	ადეკვატურია თუ არა მოდულის საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
17.	ადეკვატურია თუ არა საათების გადანაწილება სწავლის შედეგებისა და დატვირთვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
18.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
19.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები)				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, დააკონკრეტეთ რა სახელმძღვანელო გესაჭიროებათ*
20.	მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრეინინგს/ კონსულტირებას?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვევაში, დააკონკრეტეთ, რომელ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროებთ დამატებით ტრენინგსა და კონსულტირებას?*
შემოგვთავაზეთ სარეკომენდაციო წინადადებები პროგრამასთან დაკავშირებით დამატებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.					
საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინეთ დამატებითი რეკომენდაცია/კომენტარი, წინადადებები:					

კითხვარის შევსების თარიღი:_____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

კურსდამთავრებულის გამოკითხვის ფორმა

გთხოვთ, შეავსოთ აღნიშნული ფორმა და ობიექტურად გასცეთ პასუხი ქვემოთ მოცემულ კითხვებს, რათა მივიღოთ რეალური ინფორმაცია და აღნიშნულის საფუძველზე განვახორციელოთ შესაბამისი ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც აფასებთ

_____

სწავლების საფეხური_____

1. რომელ წელს დაამთავრეთ ზემოთ აღნიშნული პროგრამა? _____
2. ხართ თუ არა დასაქმებული? _____
3. მუშაობთ თუ არა თქვენი სპეციალობით?_____
4. რომელ ორგანიზაციაში მუშაობთ და რა თანამადებობაზე?
   _____
   _____
   _____
5. რა არის თქვენი მოვალეობები აღნიშნულ თანამდებობაზე?
   _____
   _____
6. ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან ხუთ ბალიანი სისტემით როგორ შეაფასებდით თქვენს პროფესიულ შესაძლებლობებს?

№	კომპეტენცია	1	2	3	4	5
1	სფეროს ფართო ცოდნა და გაცნობიერება					
2	სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი					

3	დასკვნის უნარი					
4	კომუნიკაციის უნარი					
5	პროფესიისათვის საჭირო შემდგომი განვითარებისა და სწავლის უნარი					
6	პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრების უნარი					

7. თქვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან რომლების ფლობა არის უფრო მნიშვნელოვანი?

_____
_____
_____
_____

8. თქვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან რომლების ფლობა არის ნაკლებად მნიშვნელოვანი?

_____
_____
_____
_____

9. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო მოდულებისაგან, თქვენიაზრით:

ა. რომელი მოდულების სწავლება არის მნიშვნელოვანი პროგრამის ფარგლებში?

_____
_____

ბ. რომელი მოდულის შესწავლას უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება?

_____
_____

გ. რომელი მოდულის სწავლება არის ნაკლებად ღირებული?

_____

10. არსებობს ახალი მოთხოვნები აღნიშნულ სფეროში, რომლებიც საჭიროაა ისახოს პროგრამაში?

_____

11. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად არიან მომზადებულნი ჩვენი კურსდამთავრებულები პროფესიული საქმიანობისათვის და რა პრობლემებს ხედავთ ამ კუთხით?

შენიშვნები და შეთავაზებები

გმადლობთ რომ დაგვითმეთ დრო!

დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა_____

საფ ხური_____

სახელი გვარი_____

დაკავებული თანამდებობა_____

1. **თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება სტუდენტის მიერ გამომუშავებული პროფესიული უნარები დასაქმების სფეროს**

☐ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

☐ ნაკლებად შეესაბამება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

_____

_____

_____

2. დასაქმებისთვის აუცილებლობად მიგაჩნიათ თუ არა დამატებითი სტაჟირების გავლა

☐ კი

☐ არ

☐ სასურველია

დადებითი პასუხის შემთხვევაში განმარტეთ მიზეზები

---

3. შეესაბამება თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენცია თქვენ დაწესებულებაში / ორგანიზაციაში შესაბამისი პოზიციისთვის დაწესებულ მოთხოვნებს.

☐ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

☐ ნაკლებად შეესაბამება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

_____

_____

_____

4. თქვენი აზრით რამდენად საკმარისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის მოდულის ხანგრძლივობა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისათვის.

☐ საკმარისია

☐ არ არის საკმარისი

☐ ნაწილობრივ საკმარისია

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

_____

_____

_____

5. არის თუ არა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საკმარისად აღჭურვილი იმისათვის, რომ პროფესიულ სტუდენტს მისცეს პრაქტიკული მოდულით გათვალისწინებული უნარ ჩვევები?

- ☐ საკმარისია
- ☐ არ არის საკმარისი
- ☐ ნაწილობრივ საკმარისია

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

_____

_____

_____

6. რამდენად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პროფესიული სტუდენტის წარმატებით დასაქმებას და კარიერულ წინსვლას

- ☐ უზრუნველყოფს
- ☐ ვერ უზრუნველყოფს
- ☐ ნაწილობრივ სუზრუნველყოფს

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია:

_____

_____

10. დამატებითი შენიშვნები და რეკომენდაციები